

რედაქცია

პოლიმიონის ქუჩაზე, ახლანდელი ჩიკაგოს სკოლის სკოლაში.

ხელის მოწერა

რედაქციაში და სხ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дროზდა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8 — მან., და ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებში.

განცხადების ფასი

ღიდი ასობით, ასობე — 1 კაპ., ასობითადაც, ატრიქონზე — 8 კაპ., ციცილოთ, სტრიქ. — 5 კაპ. პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გასწორებს და შეამოკლებს გაზოგზავნილ სტატიებსა, დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

დროება

გამოდის კვირასობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

„დროების“ რედაქცია, ერთის ქართული ლიტერატურის მოყვარე პირის მონდობილობით, აცხადებს, რომ ეინც რედაქციაში წარმოადგენს, ან სამუდამოთ და მხოლოთ გადასაწერად, ქართულ პოემას, სახელად „საჰანე გიგითა“

იმწამსვე ათს თუშანს მიიღებს ჯილდოთ.

ხანებული პოემა, როგორც გაგვიგონია, ერთს ვიღაც ბერს დაუწერია, ვგონებთ წარსულ საუკუნეში. იმაში აწერილია ლექსით ქართველი გმირების ცხოვრება და მოღვაწეობა. ამ 30-40 წლის წინათ, უფ. პლატონ მოსელთან და დიდ ბიორგი მრისთავს უნახავთ ის სადღაც და წაუკითხავთ.

ამ მოკლე ხანში დაიწყო ბეჭდვა პეტრონოვის თხზულებათა. მაგრამ დამბეჭდავთ, საუბედუროდ, ყველა ამის თხზულებანი ვერ ჩაუგდიათ ხელში: სხვათა შორის, იმთ აკლიათ კომედიები:

- 1) „თეთრი დათვი ფაშისა“
 - 2) „ქმარი ცოლის მაყარი“
 - 3) „პატრი ზარაფი“
 - 4) „ჯერ მოკედენ და მერე დაქორწილდენ და
- ბ) „ახ, მართალ-გამკითხავო, შენ მიპატრონე!“

დამბეჭდავნი უმოკრჩილესად სთხოვენ იმ პართ, რომელთაც აქვთ ხსენებული თხზულებანი, წარმოადგინონ „დროების“ რედაქციაში, რომლიდანაც, თუ მოითხოვენ, ხელნაწერს, დაბეჭდვის შემდეგ, უკანვე მიიღებენ.

საქართველო

ქვემო ქართული ენის დევნაზე

ორი სასწავლებელი, რომელიც ჩვენ წასულ ნომერში მოვიხსენიეთ და რომლებშიაც სდევნიან ქართულ ენას, არი: ერთი ჩვენი თფილისის სასულიერო სემინარია და მეორე ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტი.

თფილისის სასულიერო სემინარიაში მომეტებული ნაწილი შაგირდებისა ქართველები არიან.

როგორც მოგვხსენებთ, ეს სასწავლებელი მომავალ მღვდლებს ამზადებს ჩვენი ქვეყნისთვის, ე. ი. ისეთს სულაერს მამებს, რომელთაც ჰრისტეს ღვთაებრივი სწავლა უნდა მოჰქონდინონ ჩვენ სოფლის ხალხში, რომელთაც თავიანთი სიტყვითა და მოქმედებით ზნობითი კეთილ-გველენა უნდა იქონიონ ამ ხალხზე, რომელნიც, ერთის სიტყვით, მთელ თავის ცხოვრებას ამ ხალხში გაატარებენ.

მსევე ითქმის სამასწავლო ინსტი-

ტუტის შაგირდებზედაც. აქედამ გამოდიან სოფლის შკოლის მასწავლებელნი, რომელთა მოვალეობა მართლაც არ უნდა იყოს, რომ შაგირდებს წერა-კითხვა ასწავლონ და ოცმდი ანგარიში. ამათ პირდაპირი ვალი აწევთ, რომ სოფელში სამაგალითო კაცებად იყენენ, უმცარი გლეხისთვის სწორი გზის მიჩვენებელნი, ხალხს დამრიგებელნი.

აი, ამათ უშლიან ქართული ენის შესწავლას, ქართული ხალხის გაცნობას! აი ამათ ჰყრიან სასწავლებელად, თუ ქართული გზითი ან რამე წიგნი დაუნახეს ხელში!

როგორ მოგწონთ ამ გვარი პედაგოგიური წესები ჩვენი სასულიერო სემინარიისა და სამასწავლებლო ინსტიტუტისა?

მართს შემთხვევას მოგახსენებთ, რომელიც ყველაზე უფრო დაამტკიცებს ჩვენი სიტყვების ჭეშმარიტებას:

ამ ორი კვირის წინათ, ბერძნული ენის გაკვეთილის დროს, მასწავლებელმა შეამჩნია, რომ ერთი შაგირდი ახლად გამოსულს „დროების“ ნომერს ჰკითხულობდა. მასწავლებელმა იმწამსვე გაზეთი, რასაკვირველია, გამოთხლიშა შაგირდს ხელიდამ და სემინარიის ბამგეობას წარუდგინა.

შეიქნა ფილოსოფოსთა თათბირი. პატრიცეპული მწვერნი ბამგეობისა შეწრწუნებულნი იყენენ: „როგორ

თუ ბერძნული ენის გაკვეთილის დროს ქართულს გაზთს ჰკითხულობდა! * მაცხარებული ბაასისა და განკითხვის შექმნე, გადაწყვიტეს: თუ მცა ღირსი არ არის შებრალებისა, მაგრამ რა გაეწყობა, მოწყალება უყოთ და უბრძანოთ, თვითონვე შემოიტანოს თხოვნა, გამოაცხადოს, რომ აღარ ჰსურს სემინარიაში სწავლა და წავიდეს. თუ თვითონვე არ შემოიტანა თხოვნა, მაშინ ჩვენ ისეთი მოწმობით გავაგდოთ, რომ შემდეგ არცერთ სხვა სასწავლებელში აღარ მიიღონ!...

ჩვენ ნამდვილად ვიცით, რომ ალექსანდროვის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორს, უფ. ზახაროვს ჟამივითა სძულს ის შაგირდები, რომელნიც ქართულს გაზეთებსა და წიგნებს ჰკითხულობდენ, და ყოველს ღონისძიებით ცდილობს, რომ რამე მიხვნი მოუნახოს და გამოჰყაროს ისინი ინსტიტუტიდ. ეს შაგირდები უფ. ზახაროვს სხვების გონების გამრყენებად და სასწავლებელში მანებელი თესლის დამწერველ შაგირდებად მიჩნია!

რას იტყვიან ნამდვილი პედაგოგები, ყველა ეს ამბები რომ დაწერილებით იცოდნენ!

რას იტყვიან ამაზე თქვენ, ჩვენო მამებო, რომელნიც მუდამ გვესაყვედურებით, რომ ქართული ენა აღარ იცითო, გაგვიფუჭეთ ჩვენი საუნჯე — სამშობლო ენაო!!

ს. მესხი

ფელტონი

ჩვენებური სცენები

(ბურული ჩამოსულა „საქრაველოში“ და თფილისში იქირავა ერთმა გლეხმა ბაღში სამუშაოთ)

— აბა შენ, ჩემო გურულო, ახლა გამოგაჩნდება ვაჟკაცობა!... შენ იცი და შენმა ნამუსმა, რა როგ მუყაითათ იმუშავებ.

— მუშაობაში, დედაე — და, წელს რაეა მოვდრეკ! შულოს გამოგართმევე — და არ ვიძუშავებ, ამას რალზე ჩივი! რალა თვალით შემოგხედავ მერე! მარა იცი რა გითხრა, ბიძა ჩემო? ღვინო კი დამალევიე!

— რას ამბობ, კაცო! მართველი კაცი ღვინის მადლითა სცხოვრობს და ისიც კიდევ დაუჭიროს ადამიანს?

— აბა, ბიძაე, შენ იცი და შენმა ნამუსმა!

— მაგაში მენდე, ჩემო ძმობილო, აი სახლშიაც მივედი!

(ბურული იყურება იქით და აქეთ; მაგრამ სახლს ვერა ხედავს, რადგანაც ქართლის სოფლებში სახლები მიწაში იციან)

— აგი და, სადაა სახლი? (მართლელი ჩადის კიბეში)

— ჯერ აქ ჩამობრძანდი და ნახე, ჩემო გურულო!

— შაი წახვითი, ჩამოვიდე, რაეა რა ცოცხლა მიწაში არ ჩაეძვრე, რა გამიჭირდა ვეჯო!... მარა, ბიძაე, რას დაგაბარებ, იცი? აგერ სამოცი წელიწადი იქნება, პაპა ჩემი გარდიცვალა და რადგან იქ მიდიხარ, შეეყრები და მოკითხვა უთხარი ჩემ მაგივრად!

— ნუ ხუმრობ, ჩემო გურულო, აქ ჩამო, დაისვენე, საუზმეც მიირთვი და მერე წავიდეთ ბაღში!

(ჩადიან კიბეზე და შემდეგ საუზმისა ქართლელი მიყვანს ნეგთან გურულს)

— აი ეს ნეხვი აქედამ უნდა ავიღოთ და ვაზებს უნდა მოვყაროთ!

— შაი წახვითი!... მერე და ჩოჩორი კი არა ვარ, ნეხვი რომ ვზიღო!

— აი, ამ ნაირათ, ნეხვი ბლომათ აიღე და გოდორში ჩასვი!

— რას ჩივი შენ, კაცო, ჩავსვა გოდორში, რაეა რა კრუხია თუ?

— აი ყველაყაი კი, მარა რათ გინდა, კაცო, ე მყრალი ნეხვი?

— აკი ვითხარი — ვაზებისთვის მეთქი! აი შენ ეს ვაზი აქედან უნდა ამოიღო, მიწა ბელტობელტად უნდა მოთხარო, შიგ ვე ვაზი უნდა ჩამარხო და ზედ მიწა უნდა მოაყარო!

ბესმი?

— ეს ყველაყაი კია, მარა ტარილი როისა გაქ?

— რისი ტარილი, სადური ტარილი, რაებს ბოდაე შენ, ჩემო ძმაო!

— ტირილი აბა რაეა, აღარ იტირებს!... ე ვენახი ჯერ დამარხედა აწი აღაბეც აუგე ბარემ! მე მენარედ გამოგადგები, ბურიელის სახლში გაზდილი ვარ. მართი ეს მითხარი, ბიძა ჩემო, ე ვენახი თეხზე რომ იდგას, ვითომ დაამავებს რამეს?

— მა როგორ გინდა: ჯერ ასე უნდა დამარხო, მერე გაზაფხულზე ისეე წამოსვა, მერე გამოისხამი, მერე ყურძენს ჩაეწნახამ, მერე გარდმოვასხამ, მერე ქვევრში ჩავასხამ, მერე გულაში ჩავასხამ, მერე ჭიქაშიც ჩავასხამ.

— მერე კისერშიც ჩავასხამ. ამდენი „სხამი“ არ გამოგონია!... ჰოოო, ახლა კი მიხვითი, შენ, ბი-

ძა ჩემო, „სხამზე“ გვირგვინი გისკვნია.

(ბურული მიდის თავისთვის)

— მა, გიჟია ე ოხერი!!!

II

პარასკეობა ქეთაისში (ღილა, ბუღარში ბაყაყების ყიყინი მოისმის, აქვე ახლო ბაზარია, ხალხი მირბის იქით და აქეთ.)

დესეტნიკი. ბასწი, ბიჭო, ურემი. მი არ გესმის!!

იმერელი. ძიდეც მესმის და კიდევაც მიქმება; მაგრამ ურემს მხარზე ვერ გავიდებ და ადგილი კი არსად არი!

დესეტნიკი. როგორც გინდა, ისე ქენი, ოლონდ გზა ნუ გაგიკავებია, შენი ლაპარაკის თავი არა მაქვს მე!

იმერელი. შენ თუ თავი არა გაქვ, არც მე მაქ ბოლო, ქე ვარ და ქე ვიქნები ასე!

დესეტნიკი. რომ იქნები, იმისთვისაც პოლიციაში გატყუებთ თავს.

იმერელი. შენი ნატყუარი ვინც იყოს, იმას ატყუებთ თავი და მე ჩემ ლომა ხარს შამოვკრავ. გა-

დღიური

† წუხელი საღამოს, 15-ს დიდი ხნის ავთომყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენი ძველი, პატივცემული მოღვაწე ქართული ლიტერატურისა პლატონ შენატეს ძე იოსელიანი. იმ ლიტერატურულ მოღვაწეობაზე იმედი გვაქვს, მალე უფრო ვრცელ სტატიას წაიკითხავს მკითხველი ჩვენს გაზეთში.

სწორეთ ძეარფასი ძღვენი გამოუგზავნა იმერეთსა ძალაქს: ერთი კვირა იქნება. რაც რამდენიმე იმერელი ავაზაკები გაჩნდნენ და ეს არის აგვიკლონ. ამას წინათ, საღამოს ჟამს ერთი საღდათი დასტრეს რუსის ბაზარში; მეორე დღეს ერთი პოლიციის აფიცერი დასტრეს, შემდეგ პლელოვის მალაზიაში შეცვინა მოუნდომებიათ და ამ თვის 9-ს, დილის 7 საათზე გაცარცვეს ზარაფი საღდათის ბაზარში. ამ ავაზაკების მოთავედ, როგორც ამბობენ, ვიღაც იმერელი ტატო წულუკიძე არისო, რომელიც, ჩვენი პოლიციის ლეკოკის — ლოლაძის სიტყვით, ისეთი თავგადადებული ვინმე არისო, რომ ცოცხლად იმის დაჭერა შეუძლებელიაო.

დღეს, კვირას, ნაშუადღევს პირველს საათზე, „მშაკის“ რედაქტორი უფ. დოქტორი ბრიგორ პრწრუჭი აქაური გიმნაზიის ზალაში წაიკითხავს, სომხურს ენაზე, პუბლიკურ ლექციას შესახებ ქალაქის ერთ-დღიურ აღწერისა.

ჩვენ მოგვივიდა მუთათისიდან ნამდვილი რიცხვი იმ შაგირდებისა, რომელთაც წელს თხოვნა შეუტანიათ იქაურს გიმნაზიაში შესასვლელად. ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ 20 აგვისტომდე ხსენებულს გიმნაზიაში 109 ყმაწვილს შეუტანია მიღების თხოვნა. ამ რიცხვიდან 85 ყმაწვილი მიუღიათ სხვა და სხვა კლასებში და

დანარჩენი 24 კი ეგზამენს ვერ დაუჭერიათ. მიღებულების რიცხვი 67 ქართველია, 1 სომეხი და 17 რუსი თუ სხვა ქვეყნელი; 56 მუთათისის გუბერნიის მცხოვრებნი არიან და 29 თვითონ ქალაქისა. 24 ყმაწვილიდამ, რომელთაც ეგზამენი ვერ დაუჭერიათ, 21 ქართველია და სამი რუსი.

ჩვენ მივიღეთ მუთათისიდან ერთი დიდი გაჭრელებული თაბახა, რომელიც გავსებულია იქაური კათოლიკე სამღვდლოების სამღურავითა. პეტრორი, სხვათა შორის, იწერება, რომ ამას წინათ ერთმა პატრმა ქალაქში შეჩვენა თავის მკვიდრი ძმაო, რომელმაც უცხო სარწმუნოების ქალი შეირთო და ამას გარდა ერთი აქაური გიმნაზიელი, რომელიც ვითომც კათოლიკე სამღვდლოებაზე შეუსაბამო და უკადრისს რამეებს ლაპარაკობს.

მომავალი წლის 1 იანვრიდან ბაქოში რუსული გაზეთი გამოვა. რედაქტორად იქნება პ. მურომცევი, რომელსაც იქვე ბევრი ნაეთის წყაროები აქვს. მანეთი გამოვა კვირაში ერთხელ და წელიწადში 5 მანეთად ეღირება.

ჩვენ მოგვივიდა ამ წლის პირველი ნომერი აქაური მეოგრაფიულ საზოგადოების წერილებისა. ამ ნომერში შემდეგი სტატიებია დაბეჭდილი:

„ზამოკლევა შუბოთისი (მდ. აშუ — დარის მშრალი ძირისა) სურათით — ლუპანდინისა. — ახევა ძველი ქალაქის მეშედის მესტრეანის ნანგრევებისა. — მაფუჭება და გადაკეთება მეცნიერების საშუალობით ნაპოვნი ფაქტებისა შესახებ ძავასიისა რიტ-

ტობის თხზულებაში: „ტომობითი შედგენილობა რუსის არმიისა“ — ლ. პ. ზაგურსკისა. — პეტრე პროლოს ძე უსლარი — ლ. პ. ზაგურსკისა. — წერილი ამბები. — ბიბლიოგრაფიული ცნობანი. — მანცხადე ბანი.

„დროების“ კორექსორდენცია

სახჩერე, 4 გორგობისთვის
სახჩერის დაბაში ერთი აზნაური მივიდა და სთხოვა სოფლის მამასახლისს, რომ დაუწოდოს ვიქსილი ფულისა, რომელიც მართებს ერთ ქართულ გლეხ-კაცს. მამასახლისი არ დათანხმდა, უპასუხა: როდესაც ის კაცი მოვა ჩემთან და იტყვის, რომ მართლა მართებს, მაშინ ავასრულებ თქვენ თხოვნასო.

მოახერხა ამ აზნაურმა ერთის მაცდურის ადვოკატის და რამოდენიმე თავის ამალი გლეხების შემწეობით. იმ რიცხვიში ერთი იმავე საზოგადოების (რომელსაც მამასახლისი ეკუთვნოდა) საგლეხო სასამართლოს მოსამართლე, დაპატიქვს მამასახლისი, დაათერეს, ამოაცალეს ჯიბიდან ბუჭედი და დაასვეს წინაწინ შეგვიწინო რამოდენიმე ვიქსილებზე. ვიქსილები იყო თითო-თითო არა უფროს ათი თუმანი, რადგანაც ათ თუმანზე ზევით არ შეუძლია მამასახლისი ს დაამტკიცოს. მინხა ფულისა შეადგენდა სულ ას თუმანს.

მამასახლისმა მეორე დღეს იგონო და შეატყა თავის ახალუხის ჯიბეს, რომ იმის ჯიბეში გარეშე ხელს უსერიანა და ბეჭედიც არ იყო გაწმენდილი ისე, როგორც თვითონ ჰქონდა ჩვეულება. მაშინვე მიხვდა და დაუწყო თვალის დევნა ამ საქმეს.

აზნაურმა რაკი ვიქსილები ხელთ იგდო, შეიტანა ს.ჩივარი ბორის სასამართლოში ერთ შეძლებულ სუ-

რამელ გლეხზე, და წარადგინა ასი თუმნის ვიქსილები მთავრადმელ მოსამართლემ დაუბრუნა, რომ მან წარმოადგინოს როდესაც ამ საქმეზე სხდომა იქნება.

სახჩერის მამასახლისმა მოახსენა შორანის მახრის მმართველს, რომელმაც გადასცა სასამართლოში.

როდესაც საჩხერის დროს, მომრიგებელ მოსამართლემ აზნაურს კითხვა მისცა, რასაკვირველია, უარი ჰყო ბეჭედის მოპარვაზე და დასმაზე. მაგრამ მამასახლისმა დაუმტკიცა, რომ ის სთხოვდა ვიქსილების დაბეჭედას. აქაზე პასუხათ შეიტანა დაწინაშემე: „მართალია, მე ვთხოვე დაემოწმებია ვიქსილები მამასახლისს მაგრამ ათი ათ-ათ თუმანი არ ყოფილაო, ზოგი ვიქს-ვიქს თუმანიანი ერთაო, თანხა იყო ათასი მანეთიო, ის ფულები მომცა კნენა ა. წ — სამ და მთხოვა გამესხსებია და მესარგებლებია...“

მართი სიტყვით, ისე წავიდა საქმე, რომ გადიელო თავზე. ამისთანა ოინები ხშირი არის ჩვენში.

ამ ორი წლის წინეთ, ერთი ადვოკატი აქაური აზნაური მოკლაცოლის ძმამ და როდესაც პრისტავმა დაამოწმა მკვდრის ქონება, სხვათა შორის, უნახა რამოდენიმე დაუწერელი ქალაქი, რომლებსაც მამასახლისის ბეჭედი დასმული იყო. ამითი ჰაჩანს, რომ ბევრი უწესობა და უკანონობა მოხდება ხოლომე მამასახლისის უწიგნობით. წაკითხვა არ იცის და ტყუილს წაუკითხამენ და ისიც ბეჭედს ასვამს. ამისა გამო მომრიგებელი მოსამართლე ეხლა მამასახლისის დამოწმებულს არ იღებს ყურადღებაში და ნამდვილი თამასუქები გაუბათილა ზოგიერთების.

შემეტესი ნაწილი ამ ნაირ ბოროტ მოქმედების მიზეზი არიან მწერლები

ვაჭრიკინებ ურემს და ქე წავალ გვერდით! (უხევეს გზიდან)

მეორე იმერელი. (დესტინიკს) ბატონო, ნუ წყრები, მობრძანდი, ხახვი მიირთვი!... პა, პა, პა!... რა ხახვია, ერთი სიტყვით, აბრეშუშია რალა!

მესამე იმერელი. აი სტაფილო, სტაფილო, მოდი ძმობილო, ძმობილო!

მეოთხე იმერელი. აქეთ მობრძანდი, მობრძანდი, სხვისი არ ვარგა პილწია, ბოსტნოულობა ჩემი სჯობს! მხ, რა ოხრაბუში და ქინძია!

მეხუთე იმერელი. შა, ფა, ფა!... რა კვერცხებია!... ძალბატონო, მობრძანდი, რა გნებავს, იათათ მოგართმევ!

წყვილი კაპიკათ, დაბერდი ტკილიათ, სამი კი ტყვილიათ!

მეტი რალა გნებავს? მიირთვი, ბატონო, მიირთვი!... მჰ, შე დალოცვილო, რა სკუბოვი ყოფილხარ! (შუქობს კვერცხებს)

მეექვსე იმერელი. აი აქეთ ბალი, ბალი, კახა-ბალი, ქვიშა ბალი,

პატარძლის ნაკრები არის, თუმნათ ღირს თითო კუმპალი!

ინ და უ რ ი ა ნ ი. პრიქა, ინდაური, მამალი ინდაური, ვას უნდა ინდაური? ძალბატონო, მიირთვი, რა გაეწყობა. (ქალი კიდებს ხელს ფეხებში და ანძრევს, სიმძიმეს უშინჯავს სუქანია თუ არაო) აპა, პა, პა, პა!... არ გაანძრიო, ბატონო! გამძღარია, გაგსერის, უზდელი განლაქი, ე უბედური!

III (მრი გურული მუშაობს ყანაში, იმათთან მოდის მგზავრი რუსი, რომელიც მწურგეთის გზას კითხულობს.)

— ძვირიკა!... ა, ძვირიკა!

— რა გინდა, ბიჭო?

— რა მინდა და ის, შენი წყალობა! რა უნდა მინდოდეს? აგერ რუსი მოვიდა და გზას კითხულობს, გონია.

— მე რამ გაგაჩერა, შე აბდალა!

— მე რუსული ერთი ფინჩხაც არ ვიცი, შენ მობუღლეთს ნამყოფი ხარ და გეცოდინება!

— შტო კაკოი, რუსო?

— სკაქი ლიუბეზნი, კაკია დაროგა ვედიოტ ვ-მწურგეთ?

— მწურგეთ?... — და.

— აი დაროგა! (აჩვენებს ხელით). სულა დაროგა, მერე მაროგა, მერე ჩაროგა, მერე ამოროგა, მერე გადაროგა, და მერე სუთულ დაროგა და დაროგა! (ამ სიტყვებით უნდა ანიშნოს, რომ ჯერ ჩალმართია, მერე აღმართია და მერე პირ-და-პირი გზაო. რუსი თავს აქნევს მიხვთომის ნიშნათ და მიდის.)

— მაი წაეხთი, ამისანა რუსული მეც ქე ვიცოდი, ვაჟო!

— თუ იცოდი, რა შენ ყველაცას უცთიდი, გაშეშებული რუსი თავზე რომ გადგა.

IV (ბურული და მეგრელი ერთმანეთს შეეყრებიან გზაზედ.)

— მეგრელო, ვისი კაცი ხარ შენ?

— მაი წართი, ვისი კაცი ვიქნები, პარტენი! ჩემი თავის კაცი ვარ!

— აგიშენდა ოჯახი, კი ბატონი შენ გყოლია!

V (მიდიან ბურული და მარაული მგზა-

ვრათ. ბურული მოყვა ტყუილებს და ატყუილებს მართლებს).

მართელი. ჩემო მსიკა, შენ ანბობ, რომ ე ჯვარი რომ ჰკილია, ლაშქარში მივიღეო, უთუოდ ომში-დაც დაესწრებოდა სადმე!

ბურული. ე ჯვარი მე მობუღლეთის ომში მივიღე. სწორი მოგახსენო, მარჯვეთ კი ვიყავი! ბევიხედე კაცო და გაეარდა თოფი აგერ, გაეარდა ვეგრე. გააყრევია ტყუთა ზარბაზანმა!... მიფიქრე, გლახათა მსიკა საქმე! მევიხედე, მოწივა ზარბაზნის ტყუთა და მოდის პირდაპირ ჩემსკენ. აბა მსიკა თუ ვარგხარ ახლა და გატახტი იქით. — ზამოაგვიდა; გარდევში აქეთ, გადავში იქით; მარა არ მეშვება! მივარდი ჩიქვის ძირში — მეტკუტა ტყვია შუბში; მოვისვი ხელი, თურმე ბუზი ყოფილა!..

მართელი. ძალიან არ გადარჩენილხარ, ვაჟო. შა, ფა, ფა, აბა ჯვარიც კი გერგებოდა და!

ბურული. მაშ მურიელმა ტყუილა წამადგინა!

ბ. ჰალიდელი

გაზრდობილი სამსახურად და სამართალ ქვეშ ნამყოფი ჩინოვნიკები, რომელნიც სოფლის მწერლათ ღმებთან. პარტი იქნებოდა, რომ ვისიც რიგია უფრადღებას მიაქცევდეს მწერლებს და ცუდი ყოფიქცევისა ნება არ ჰქონდეს სასოფლო სასამართლოში წერისა, რადგანაც უწინგობის გამო, მამასახლისი და სუდიებიამაზე არიან დამოკიდებულნი.

მოქალაქე

რუსეთი

ზრანცუზულს და ინგლისის გაზრდობაში დაბეჭდილია პეტერბურლი-დამ მიღებული დეპეშა, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ვითომც რუსეთის მმართველობამ საიდუმლო განკარგულება მოახდინა, რომ პეტერბურლის სამხედრო მარში მყოფი სამი დივიზია ჯარი საომრად დამზადებულნი იყვნენ (поставить на военную ногу). ამავე დეპეშაში მოყვანილი იყო, რომ სამხრეთ რუსეთის ჯარები უკვე მზათ არიან სომრათა. ამ ხმის თაობაზე, ერთს ნემეცურ გაზეტს უკითხავს პეტერბურში—მართალია ეს ამბავი, თუ არაო. და პეტერბურლიდამ პასუხათ მისცლია, რომ სრულგებით უსაფუძველო ხმა არისო. ამ ხმას არღვევს აგრეთვე მმართველობის გაზეთი.

მთავრობის განკარგულებით იკვლევენ ახლა იმ ადგილებსა, რომელზედაც ქურსკო-პხოვისა და როსტოვო-მლადიკავახის რკინის გზის შემაერთებელი შტო უნდა გაიყვანონ.

* *

შინანსთ სამინისტრო აპირებს ახალი ფორმის კრედიტის ბილეთების (ქალაქის ფულის) გამოცემას. ეს ახალი ქალაქის ფული იმნაირად იქნება გაკეთებული, რომ ამ გვარი ყალბი ქალაქების გკეთება ვერაინ ვერ შეიძლოს.

* *

საფრანგეთიდან რამდენიმე მმართველობის გემოგზავნილი კაცები მოსულან რუსეთში, რომელთაც ჯარებისათვის ცხენები უნდა იყიდონ.

* *

პეტერბურლიში ჩვეულებრივი სიციფები და ზამთარი დამდგარა: ამ ნოემბრის 9-ს ნევა გაყინულა და ხალხი ზედ დაიარება.

* *

ამ ჟამად მეორე მოკრება რუსეთში ჯარისა ახლის, კანონით. სულ 180,000 კაცი უნდა გააწვიონ სალდათად და ამ რიცხვიდამ პეტერბურ-

ლის გუბერნიად 1896 გაცი უნდა გამოვიდეს, თვითონ პეტერბურლი-დამ კი 511 რეკრუტი.

რუსო ქვეყნები

გარსომოვინა. ინსურგენტებს განზრახვა აქეთ თურმე, რომ სამი დებუტატოა გაგზავნონ პეტერბურ-ლს, მენას და ბერლინს, რუსეთის, ავსტრიის და ბერმანიის მმართველობასთან მოსალაპარაკებლად და შემდეგი წინადადების წარსადგენად: 1) რომ აჯანყებულებს აღარ შეუძლიანთ მსმალოს ხელ ქვევით დარჩნენ; 2) ხსენებულ სახელმწიფოებს სთხოვენ, რომ ერთი ისეთი ადგილი გამოჰყონ ბერსოგოვინაში, სადაც აჯანყებულებს უშიშრად შეეძლოსთ თავიანთი ცოლ-შვილის შენახვა; 3) სანამ საქმე არ გათავდება, ამ სახელმწიფოებმა დაიჭირონ თავიანთი ჯარებით ბერსოგოვინა და თვითონვე განაგონ და 4) რომ ბოსნიისა და ბერსოგოვინიდან ცალკე დამოუკიდებელი სახელმწიფო შესადგეს და ქრისტიანი მეფე დააყენონ.

მსმალო. ახლანდელი მსმალოს იუსტიციის მინისტრი მიხტადეშა ძალიან მეცადინეობს თურმე, რომ რიგინი კანონები და ამ კანონის აღმასრულებელი დაადგნოს მსმალოს სხვა და სხვა მხარეებში. ღლე და ღამე მუშაობს ახალი კანონების შესადგენათაო და იმედი აქვსო, რომ მალე მიღწევს იმ მდგომარეობამდინ, რომ მთელი ქვეყანა აღარ უჩიოდეს მსმალოს ყოველ გვარი უკანონობისა და უწყსოებისთვისო.

საზრანგეთი. იუსტიციის მინისტრს ღიუჭორს წარუდგენია ახალი კანონის პროექტი ბეჭდვის თაობაზე, რომელზედაც, როგორც მოგვხსენებათ, დამოკიდებულია საფრანგეთის მომეტებული ნაწილის სამხედრო მდგომარეობიღამ დახსნა. საზოგადო აზრი ამ ახალი პროექტის თაობაზე, ის არის, რომ ამისთანა სასტიკი და ბეჭდვის შემავიწროებელი კანონი ჯერ არც ერთ საფრანგეთის მმართველობას არ გამოუციაო. ახლა ეს კანონი პარლამენტის კამისიისთვის გადაუციათ განსახილველად, რომელმანც თავის ჰაზრი ნაციონალურ პრებას უნდა წარუდგინოს. ამისიაში მომეტებული ნაწილი ისეთი მწვევნი ამოურჩევიათ—ხუმეტში თერთმეტი.—რომ ამ კანონის დამტკიცება ძალიან საეჭვო არის.

ქრონიკა

ბარტოლის მეფობა, მიჩვან II, აზაპ II, არზაპ III.

არზაპ II-ის შემდეგ გამეფდა იმისი შვილი არზაპი მე III. ამან, იმეფა 32 წელს. ამ ხანგრძლივ მეფობის დროს ეს მეფეც ისრე კარგად იქცეოდა, როგორც მოწინავე მეფეები. მაგრამ რომაელები არ ასვენებდნენ საქართველო; ბოლოს იმან დასძლია რომის მხედართმძღვანი ძანდიდოსი და გაარჩინა იმათგან საქართველო; მაგრამ ბოლოს ის მოიკლა ადერკისაგან. მახუშტი ამბობს, რომ როცა ადერკიმ მოჰკლა არზაპი ნებროთიანი, მაშინ ასრე დაიძახა ქართულადო: „ო ი ვერიო“ და ამ გარემოებიდგან წარმოადგა წოდებო „ი ვერიო.“

თუმცა საქართველოს ტახტი ამ გვარად ერთის ხელიდგან მეორე ხელში გადადიოდა, ხან არზაპუნიანები და ხან ნებროთიანები სხდებოდნენ ტახტზე; მაგრამ ამ გვარი ცელილებსა სამეფო გვარეულობისა ისრე მხდებოდა რომ ხალხი ვერც კი იტყუოდა, და ყველა მეფეები იმის მეცადინეობაში იყენენ, რომ საქართველოს ერის ყოფაცხოვრება აყევებინათ.

მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ ამ დროს ალყეებში იყო მხოლოდ აღმოსავლეთის საქართველო და არა დასავლეთისა. ბართაშვილი ამბობს: „ძოლხიდის ნიადაგი თუ არა ჰჯობია, თავის ნაყოფიერებით, ნაკლები არ არის აღმოსავლეთის საქართველოს საუკეთესო ნაწილებზე; მაგრამ იმის ალყეებზე ამ პერიოდში არ შეიძლება ვსთქვათ ისა, რაც ჩვენ ვსთქვით საქართველოს სამეფოს მდგომარეობაზე. სტრაბონი ცხადათ ამბობს აღმოსავლეთის საქართველოს უკეთესს მდგომარეობაზე. მტყობა, რომ იმერეთის მთავრები უფრო თავის თავზე (ფიქრობდნენ, ვიდრე ბედისაგან იმათთვის მინდობილ ქვეყანაზედ.“

ზასაკერიც არ არის, რომ იმერეთი, რომელიც მიტრიდატის სამეფობელოს შეადგენდა, ამ დროს ასრეთს ცუდს მდგომარეობაში იყო. მიტრიდატი დიდის სიკვდილის შემდეგ, როცა იმისი შვილი შარნაკი გახდა ბოჭორის მეფედ, მაშინ ეს იმერეთი იმას აღარ ეკუთვნოდა. იქ პომპემა დასვა თავისი მეფობარი პრისტარხი: მაგრამ 48 წელს შრ. დ. წინად პომპეისა და ცეზარს ომი რომ მოუხდათ, მაშინ შარნაკი შემოვარდა იმერეთში, გააგდო პრისტარხი და თვითონ დაიპყრო. ამის შემდეგ ის მალე მოკვდა და მის ნაცვლად გამეფდა იმისი სიძე ასანდრი I. ამას დაუწყო მეფობის წართმა მიტრიდატის შვილმა აგრეთვე სახელად მიტრიდატმა, რომელიც ცეზარს დაჭერილი ჰყენდა, მაგრამ სომხის მეფის ტიღრანის თავდებობით განათავისუფლა ასანდრმა ეს კაცი მოჰკლა, მაგრამ რადგან ეშინოდა

რომის სენატისაგან, ამისათვის, იმან არხონტის წოდებამდინდნენ. შარნაკი გრამ თავის პირმოთქმებით, მან წყვეტს შრ. დაბადებამდე, იმან მიიღო ისევე მეფობის ხარისხი. ამ სახით იმან იმეფა 32 წელს და მეგრე 14 წ. შრ. დ. წინად მოკვდა უმემკვიდროდ. ამისათვის მეფობის ძიება დაიწყო სკრიბონიუსმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ მიტრიდატის დიდის ძმის წული ვარო. მაგრამ რომის ჯართაწინამძღოლმა ის მოაკვლევინა და იმერეთისა და ბოსფორის მეფობა მისცა პოლემონს, რომელიც იყო შვილი ზენონა ლოდოკიანელისა.

ინგილო ჰანაშვილი

ნარეკი

ნოემბრის დამდგს ინგლისისა და საფრანგეთის ნაპირებზე და თვით ამ ქვეყნებში ისეთი საშინელი ქარიშხალი ყოფილა, რომ ზოგიერთ ქალაქებში სახურავები აუგლეჯია, რკინის გზები გაუჩერებია და ლამანშის წყალზე, როგორც ამბობენ, რამდენიმე ხომალდი დაღუპულა. ხალხიც ბევრი დაღუპულა თუ ზღვაში და თუ ქალაქებში და სოფლებში, ამ ქარისაგან დანგრულ სახლებს დაუხოცია ლონდონის ლორდ შერმა (ქალაქის მოთავემ) ხელის-მაწერა გამართა ამ ხალხის სასარგებლოთ.

* *

13 (1) ნოემბერს პარიტის უნივერსიტეტის გახსნის დროს სტუდენტებს მანიჭესტატია მოუხდენიათ პროფესორის აკარის ლექციაზე. ამ პროფესორს გაუკიცხავს ახალი კანონი განათლების თაობაზე, რომელიც კლერიკლებს ასეთს მანებელ ძალას აღგვსო, რომელიც ურიცხვ ვნებას მოუტანს საფრანგეთის ახლგაზღვრებასაო. შემდეგ უთქვამს, რომ, თუცა ეს ასეა, თუმცა კლერიკლები დაიჩარჩნენ და თავიანთი უნივერსიტეტებს სხნიანო, მაგრამ ამთ მოქმედებას და გველენას დიდი ხნის სცოცხლე არა აქვსო.

საკვაჭრო

△ ქავასიის სამხედრო მარის რჩევის გადაწყვეტილებით, მომავალ ნოემბრის თვის 19-ს იქნება უკანასკნელი ვაჭრობა (დაბეჭდილი განცხადებებით) თფილისის, სტავროპოლის და პეტროვსკის საინტენდანტო მალაზიებიდამ და აგრეთვე მლადიკავსილამ თფილისში და პეტროვსკში და ასტარხნიდამ სტავროპოლში და საზოგადოთ ერთი ალაგიდამ მეორეში გადატანაზე ინტენდანტის ნიეთებისა და წამლებისა—1876 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1878 წლის 1 იანვრამდე.

ბიროთ, ფასის დაგვარად, წარდგენილი უნდა იქნეს 20% გადასატანი ნიეთების ფასისა, შემდეგის ანგარიშით: თფილისისათვის—4,912 მანეთის გირაო, სტავროპოლისათვის—7,480 მანეთისა, პეტროვსკისათვის—4,684 მან. და ასტარხნიდამ სტავროპოლში გადასატანი ნიეთებისათვის—150 მანეთი.

განცხადებანი

შე თუკა დღემდისინაც მქონდა ქართული წიგნები და ვერცელებდი შორაპნის უფლებად, მაგრამ დღეს იმდენი მოთხოვნები არის ქართული წიგნებისა, რომ არ შეიძლება ყველა მოთხოვნა დაამტკიცოთ. თუმცა მოაქვს ქალაქიდან სხვა და სხვა პირებს წიგნები და ჰყიდიან აქაიკ სოფლებში, მაგრამ ერთობ ძვირად და უსინდისოთ. ამისათვის მე დღეს შემდეგ მსურს მოვიპოვო ყოველგვარი წიგნები ნამეტურ ქართული და მასთან რუსული წიგნებიც და ქართული საეკლესიოც, რომელნიც ჩემგან გაიყიდებიან იმ ფასად რაც ფასი თვითონ ქალაქის წიგნების მაღაზიებში იქნება მათზე დადებული.

ზანაყაბადებრა ამას, ესთხოვ ქართული წიგნების მაღაზიების პატრონებს გამომიგზავნონ, მათი წიგნების კატალოგი და დიკტიონი ჩემთან საქმე და საზოგადოებას შორაპნის უფლებში შეუძლიანთ ჩემგან იყიდონ ყოველ გვარი ქართული წიგნები იმ ფასად, რაც ფასი მათზე იქმნება დადებული გამამკველებთან.

გვადელი დავით დამბაშიძე.

იმავედამ და მცირე ხანში გამოვა ბეჭდიდამ „სახელმძღვანელო წიგნი სოფლის გვადელბათათვის“ შესრულების დროს მათგან საიდუმლო ქორწინებისა და ნათლისღებისა. დამატებითა სხვა და სხვა მღვდლისაგან მისაცემი მოწმობების, საეკლესიო საბუთების, წარმოების ფორმებისა და ასობზე დაწოებილი ყველა წმიდანების სახელითა მამათ სქესისა ცალკე და მდებრთა—ცალკე, ჩვენებითა მათი დღესასწაულების დროთა.

შედგენილი მღვდლის დავით დამბაშიძისაგან.

შს წიგნი განიხილა უწმინდესის და უმართებულესის სინოდის საქართველო იმერეთის კანტორამ და სარგებლოდ და საქაროდ იცნო ყვე-

ლა მღვდლებთანთვის მრთელი საქართველოს საეკლესიოსში.

თფილისის სამკურნალო

(4 აპრილის სახსოვრად)

მრეწვის მადანზე, ჩიტახოვის სახლებში. ავამყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათამ ნაშუადღევს 1 საათამდინ.

მ. რ შ ა ბ ა თ ს: ექიმი ტელიაჭუსი—ქალისა და ყმაწვილების ავამყოფობისათვის, მარალევი და ლისიცივი—შინაგანი ავამყოფობისათვის.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი და მარკაროვი—შინაგანი ავამყოფობისათვის.

მ. თ შ ა ბ ა თ ს: ლისიცივი—შინაგანი ავამყოფობისათვის, მკოვსკი—ვენერიული ავამყოფობისათვის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: მზაბოვსკი—ხირურგიული ავამყოფობისათვის, ტელიაჭუსი—ქალებისა და ყმაწვილების ავამყოფობისათვის.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ლისიცივი და მარკაროვი—შინაგანი ავამყოფობისათვის.

შ ა ბ ა თ ს: მერმიშვი—შინაგანი ავამყოფობისათვის, მკოვსკი—ვენერიული ავამყოფობისათვის.

როინოვის ფოტოგრაფიაში

(სასახლის ქუჩაზე, ზ. სარაჯევის სახლებში).

ისყიდება სხვა და სხვა ქვეყნების წარჩინებულნი მწერლების სურათები და აგრეთვე ახლად გადაღებული სურათი

ფოტოგრაფიისა

ფასი: სულ დიდი კედლის სურათი — 1 მან. თითო ეგზ.

— — კაბინეტისა 50 კაპ.

პატარა კარტოჩკები 20 კაპ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ: Въ Тифлисъ. Въ фотографію Ройнова, на Дворцовой улицѣ, въ домѣ Сараджова.

თფილისის ყველა წიგნის მაღაზიებში, აგრეთვე სულიკოვისა და სულთანოვიჩის მაღაზიებში და მიგაზეთებთან ისყიდება გომეტირული სხაულბი საუკეთესო კარდონის ქალაქისაგან გაკეთებული რეზინით. გომეტირის და ხაზის სწავლის დროს აუცილებლად საქაროა. გამოცემა ა. ბენეცკისა. ფასი სამი აბაზი გაუგზავნელად. მანც 10 ეგზემპლიარს ანუ მომეტებულს გამოიწერს, იმათ გაგზავნისათვის არაფერი გადახდებათ.

თვალის აბაზი თამაზოვი

ამ დღეებში დ ბრუნდა სამზღვარ გარეთიდან და მიიღებს ავამყოფებს თავის სადგომში; ბოლოვინის პროსპექტზე, ბელოის სახლებში, ბერენშტამის წიგნის მაღაზიის ზემოთ.

მრთს ნამეისის ქალს ჰაურს აიყენოს ახალგაზდა შაგირდები ნეციურისა და ფრანცუზული ენის სასწავლებელად.

შაგირდები იელთან ამ ქალთან ყოველ დღე დილიდამ შეუდგებიან ანუ ნასადღევედამ საღამომდ.

შეუძლიან აგრეთვე უროკებზე თვითონაც იაროს.

ფასი: თითო შაგირდისათვის თვეში ხუთი მანეთი.

მარტველთ შეუძლიანთ შემდეგის აღრესით მიმართონ: თფილისში, ანჩის ხატის უბანში, ბრძელის სახლებში და აგრეთვე „ღროების“ რედაქციაში. (3-1)

დაიბეჭდა და ისყიდება თფილისში, მქ. ხელაძის სტამბაში, ბანოვის ქუჩაზე, მ. ბებუთოვის სახლებში და წიგნებს მაღაზიაში

ჭიანური

ანუ

სახუმრო ლექსები

შინაარსით:

— ზამარჯობა მკითხველს! — მებით გაბასება ქალებთან! — მაქის აზრი ლამაზ ქალზედ. — ცოლ ქრმოზის ვითარება. იმერლების და ქართველების შესწა. — ბატონ ყოზობის ლექსი. — ღვერძელობა წამკითხველს! — შეკრებილი და გამოცემული მქ. ხელაძისაგან და თყოფ. ანდელაკისაგან.

ფასი ორი შაურის.

დაიბეჭდა და ისყიდება თამარ სამარტველს ბატონისფილის ისტორიული რომანი

გ. რჩეულოვისა.

თფილისში: მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში და მნფაჯიანის წიგნის მაღაზიაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

ბეჭდვადან გამოვიდა და ისყიდება თფილისში, მქ. ხელაძის სტამბაში და კამპ. სტამბაში, მქ. ხელაძის სტამბაში, მანკაძისა, ფასი 30 კაპ. თავის სურათებით. აგრეთვე მნფაჯიანის საწიგნო მაღაზიაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში და აგრეთვე მიხაილოვის ხილზედ უფ. მიროსოვის შენობაში აბოვიანის მაღაზიის პირდაპირ უფ. ძალანდაძესთან.

მუთაიში: ბუბერნიის სტამბაში სვიმონ ჩომახიძესთან. შევლგან ფასი 30 კაპ.

იბეჭდება და მომავალ ნომერში გამოვა III კარი შარამანიანისა. ფასი 40 კაპ.

პატარავრდიდამ ჩამოსული გვირი ბარტანევი — ივანოვისა

ცხოვრობს ქრუშენ შტერის ქუჩაზე, მუნთოვის სახლებში, სახელმწიფო ქონების ზამგეობის პირდაპირ. მხხველებს იღებს ყოველ დღე, დილაობით 9 საათამდ 11-მდ. ღარიბებს უფულოდ აძლევს შეწოებას.

უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება მკორე გამოცემა ქართულ-ფრანკოზულ ლექსიკონისა, რომელიც შედგენილია ივ. როტინიანისაგან. ფასი ერთი აბაზი.

ისყიდება	
მქეთიმე ხელაძის და ამხ. გამოცემა:	
„სურამის ციხე“ — 20 კ.	
„მეფის ტყალისანი“ უფ. 50	
— — ყლით — 70	
ლექსები და ანდაზები 5	
სყოველ-დღეო ლოც. 5	
სამიჯნორო ლექსები 5	
მთერიანი — — — 5	
მოდრავი ასოები — — — 5	
აგრეთვე ისყიდება ახლად გამოსული „გოგანის“ ლექსები, თქმული დავით ბივიშვილისაგან, ფასი 20 კ. და სხვა ქართული წიგნები.	
შველა ეს წიგნები ისყიდებიან თფილისში მქეთიმე ხელაძის სტამბაში და წიგნების მაღაზიებში, სხვა ქალაქებში „ღროების“ აგენტებთან.	

რკ. გზა.	დილა.	საღამ.	II კ.	III კ.	საქსლის გავაზი	ფოფტა	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი	936	454			ა) ფოთილამ:	ა) თფილისი დამ:	პეტერბურგი, 13 გიორგ.		თფილისი, 15 გიორგ.	
მცხეთა	—	—	68	38	მდესისკენ — ხუთაზა. შუადღეზე	სამზღვარ გარეთ, მუთაისს, რუსეთს	ერთი მანეთი ღირს:		პური შორაგალის ფთ.	1 5
ბორი	1221	841	240	123	სტამბოლს — კვირაობით დილას.	— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ.	ლონდონში 32 პენსი.	84	ჭერი ფუთი.	55
ხაშური	2	1110	392	218	ბ) სოხუმიდამ:	ოთხშ., მ. ზურგეთს — პარასკ და	პარიჟში 341 1/2 სანტიმი.	89	ბამა მრევისა, ფუთი.	6 20
ბეჟათუბანი	—	—	442	246	ფოთს — ოთხშაბათს, დილით.	შაბ. პახეთს — სამშ. და შაბ.	მსკონტი (სარგებლისფასი)	5	— ამერიკისა, ფუთი.	5 50
მერილა	—	—	581	323	მდესას — ოთხშ. ბათს, შუადღეზე.	შაბ. პახეთს — სამშ. და შაბ.	ბანკის ბილეთი 5%	99 75	გაპნტილი ბამბა ფთ.	8 —
მუთაისი	823	—	675	375	ფოთილამ: I II III	თფილისისა და ფოთისკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მ. ზურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	მოგებიანი (პირველისსხბი)	225	მატული თუშური ფთ.	7 50
სამტრედია	—	—	773	429	სოხუმიდამ: 4 3 1	შეკრებილი და გამოცემული მქ. ხელაძისაგან და თყოფ. ანდელაკისაგან.	მოგებიანი (მეორე სესხი)	217	— მარაქამისა ფთ.	7 50
ახ. სენაკი	—	—	857	476	მერჩამდი. 20 50 15 50 5	ფასი ორი შაურის.	ბირაოს ფურცლები:		პარეშუმი ნუხური გრ.	2 60
ფოთი	1144	—	975	542	ტავანოვ. 34 27 8 60	დაიბეჭდა და ისყიდება თამარ სამარტველს ბატონისფილის ისტორიული რომანი	თფილ. საზნ. ბანკისა.	94	ჭონი, ფუთი.	4 —
ფოთი	840	—			მდესამდი. 38 30 9 60	გ. ბორი დამ.	ხერსონის ბანკის (5 1/2)	87 85	ჭონის სანთელი ფუთი.	5 60
ახ. სენაკი	—	—	118	66	ტელეგრაფი	შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	მოსკოვის (5 9/16)	86 75	სტერინის სანთელი, ფ.	10 20
სამტრედია	—	—	261	114	მცი სიტყვა თფილისილამ:	დ) ფოთი დამ:	აქციები:		ხორცი ძროხისა, ლიტ.	— 45
მუთაისი	1151	—	341	169	მუთაისს, ფოთს . . . 1	შოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.	მდესის სავაჭრო ბანკის	172	— ცხვისა, ლიტრა.	— 54
მერილა	—	—	398	221	ბორს, ღუშეთს, სიღნახს	წიგნის გაგზავნარუსეთში და სამზღვარ გარეთ:	ფოთი-თფილ რკინ. გზის	139 50	სპირტი, ვედრო.	6 60
ბეჟათუბანი	—	—	533	296	როსტოვს მდესას მოსკოვს	ღა წიგნის 4	შავიზღვის ცეცხ. გემების	560	შაქარი, ბროც. ფუთი.	7 90
ხაშური	541	165	843	249	პეტერბურგს, მარშავს . . . 2	და პეტრბ. საზღვევ. საზ.	ძაქაზის და მერკურის.	168	— ფხვნილი ფუთი.	6 40
ბორი	723	367	364	91	მსპალეთში, შევიცარიაში	და პეტრბ. საზღვევ. საზ.	პირგ. საზღვევ. საზ.	665	შავა გრგვლი ფუთი.	18 —
მცხეთა	—	—	985	410	ტალიაში და საფრანგეთში.	და პეტრბ. საზღვევ. საზ.	კეტერბ. საზღვევ. საზ.	263	ხუთი ქუჩაფუთისა ფთ.	6 —
თფილისი	1016	724	975	542	ინგლისში. 3 75	და პეტრბ. საზღვევ. საზ.	მოსკოვის საზღვევ. საზ.	257 65	მქოლ 1/2 იმპერიალი.	6 10